

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ: პაატა ქურდოვანიძეს

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი,
პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

1. ვეჩიკო ვეზავა 02001000296
აბაშ. ს. ნოჩიო. სავაზაძის ქ. 23 №23 593 67 4670.
2. მხინა ლაბაჩიყვა 02001003893
აბაშ. ს. მახანი. ქ. 24 №14 595 755 431 ;
3. ნინო ლაბაჩიყვა 02001013060
აბაშ. ს. მახანი. ქ. 24 №7 557 25 4731.

პეტიცია
საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის
სამუშაოების დასრულება

აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ სოფ. გეზათში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური დასახლების ადგილას საკანალიზაციო სისტემა წლების განმავლობაში არ იყო მოწესრიგებული. პეტიციის ინიცირების განცხადების შემოტანის შემდეგ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში მუნიციპალიტეტმა განახორციელა საკანალიზაციო სისტემის განახლება და ახალი გაყვანილობის დამონტაჟება, თუმცა გარკვეული სამუშაოები დაუსრულებელი დარჩა, რადგან საკანალიზაციო მილი გაყვანილია მიწის ზედაპირზე და არ არის დაფარული მიწით, ამჟამად მოსახლეობა ითხოვს გაყვანილობის 10 მეტრით გაგრძელებას, რადგან ფეკალური მასები კიდევ უფრო მეტად დაშორდეს დასახლებას.

ჭუჭყიანი წყალი ქმნის ანტისანიტარიას, აღნიშნული იწვევს სხვადასხვა დერმატოლოგიური დაავადებების გავრცელებას, ხშირად ავადდებიან ბავშვები. გავრცელებულია ფილტვების პნევმონიის შემთხვევები.

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, „გ“ პუნქტის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და მოქალაქეთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უმოკლეს დროში უზრუნველყოთ აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ სოფ. გეზათში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური დასახლების ადგილას საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების დასრულება.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ვეჩიკო ვეზავა ვეჩიკო
2. მხინა ლაბაჩიყვა მ.
3. ნინო ლაბაჩიყვა ნ. ლაბაჩიყვა

პეტიციის წარმდგენის თარიღი: 16 იანვარი 2017 წელი

